



მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი

სასამართლო სისტემა და მართლმსაჯულება საქართველოში:  
გაუმჯობესების გზები

დავით აფრასიძე

პოლიტიკის ნარკვევი

2011 წელი, ნოემბერი

**პოლიტიკის ნარკვევი მომზადდა პროექტის – დღის წესრიგის შემუშავება დემოკრატიის დეფიციტის გადასალახად – ფარგლებში**

პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნული ფონდი, აშშ

© მშვიდობის, დემოკრატიის და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 2011

**მისამართი:** აკაკი წერეთლის გამზირი 72, თბილისი 0154, საქართველო  
საბონენტო ყუთი 101, თბილისი 0108, საქართველო  
ტელ: (995 32) 35 51 54, ფაქსი (995 32) 35 57 54  
ელ-ფოსტა: [info@cipdd.org](mailto:info@cipdd.org)  
[www.cipdd.org](http://www.cipdd.org)

## შესავალი

2004 წლიდან საქართველოში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმირების კუთხით. ამასთან, აზრთა სხვადასხვაობაა იმ საკითხთან დაკავშირებით, თუ როგორ აისახა სახელმწიფოს შესაძლებლობების გაზრდა ინდივიდუალური უფლებების დაცვაზე, მათ შორის, სახელმწიფოსა და კერძო სექტორს, სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის ბალანსზე. ერთ-ერთ მნიშვნელოვან საკითხად საქართველოში სასამართლო სისტემის რეფორმირება და სამართლიანი და მიუკერძოებელი მართლმსაჯულების განხორციელება რჩება. სასამართლო სისტემის რეფორმირება ჯერაც მიმდინარე პროცესია. თვალსაჩინოა სასამართლო ინფრასტრუქტურის განვითარება და სისტემაში დასაქმებულთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესება; ძირითადად უზრუნველყოფილია სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის ინსტიტუციური გარანტიები, თუმცა სადავო რჩება, რამდენად ხორცშესხმულია დამოუკიდებლობა რეალობაში, ასევე, რამდენად ახერხებს სისტემა საკუთარი ფუნქციების ხარისხიანად განხორციელებას.

წინამდებარე ანგარიში მიზნად არ ისახავს სასამართლო სისტემის<sup>1</sup> ხარვეზების მიზეზების კვლევას. ანგარიში დემოკრატიზაციის დეფიციტისა და მისი აღმოფხვრის შესაძლო გზების შესახებ კვლევის შემადგენელი ნაწილია; ამდენად, ის მიზნად ისახავს იმ ძირითადი საკითხების მიმოხილვას, რომლებიც სასამართლო სისტემისა და მართლმსაჯულების პროცესის სრულყოფისკენ მიმართული დისკუსიების დღის წესრიგს შეადგენს. შესაბამისად, ანგარიში არ არის პრობლემის სამართლებრივი ანალიზი; ის ყურადღებას ამახვილებს პოლიტიკურ კონტექსტსა და იმპლიკაციებზე.

ანგარიში ეყრდნობა დღემდე ჩატარებულ სხვა კვლევებს, მას-მედიის საშუალებებში მოძიებულ მასალებს, ფორმალურ თუ არაფორმალურ დისკუსიებს, მათ შორის, პროექტის ფარგლებში ორგანიზებულ შეხვედრებს და ინტერვიუებს აღნიშნულ საკითხებში მონაწილე პირებთან.

ანგარიში შედგება რამდენიმე ნაწილისაგან. თავდაპირველად მოკლედაა მიმოხილული სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონის მნიშვნელობა დემოკრატიზაციისათვის. აქ ყურადღება ექცევა „კანონის უზენაესობას“, „დემოკრატია“ და „მოდერნიზაციას“ შორის არსებულ ურთიერთმიმართებებს. ეს საკითხი ყურადსაღებია, მით უფრო, რომ საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება განსაკუთრებულ აქცენტს მოდერნიზაციის პროექტზე აკეთებს, ხოლო სასამართლო სისტემის გამართული საქმიანობა პირდაპირ უკავშირდება თანამედროვე სახელმწიფოს ეფექტიანობას. მეორე ნაწილში მოკლედაა გაანალიზებული საქართველოს სასამართლო სისტემის შეფასების მაჩვენებლები. ამ მიზნით გამოყენებულია *ფრიდომ ჰაუსის (Freedom House)* მონაცემები 2004 წლიდან დღემდე. შემდგომ აღწერილია საქართველოში სასამართლო სისტემის მიმართ საზოგადოებრივი ნდობის მდგომარეობა, განხილულია სასამართლო სისტემის ინსტიტუციური და საფინანსო დამოუკიდებლობის კუთხით არსებული ვითარება, გაანალიზებულია სასამართლოს ეფექტიანობა და დამოუკიდებლობასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი ორი საკითხი – საპროცესო შეთანხმებისა და ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტების შემოღება. ბოლოს, დასკვნის სახით შეჯამებულია ძირითადი საკითხები.

<sup>1</sup> ანგარიშში საუბარია საერთო სასამართლოებზე (პირველი ინსტანციის სასამართლოები, სააპელაციო სასამართლოები, უზენაესი სასამართლო) და არაა საუბარი საკონსტიტუციო სასამართლოზე.

## სასამართლო სისტემა და „სამართლებრივი სახელმწიფო“: მიმართება დემოკრატიასთან და მოდერნიზაციასთან

პოლიტიკის მეცნიერებამ დღემდე ვერ გასცა დამაჯერებელი პასუხი კითხვას, არის თუ არა დემოკრატია ავტორიტარულ რეჟიმებზე უფრო ეფექტიანი განვითარების უზრუნველყოფის კუთხით. სხვადასხვა ქვეყნის მაგალითები აჩვენებს, რომ ავტორიტარული რეჟიმებიც საკმაო წარმატებით ახერხებენ ეკონომიკურ განვითარებასა და საზოგადოებრივ მოდერნიზაციას. მართალია, არსებობს კორელაცია დემოკრატიასა და ეკონომიკურ განვითარებას შორის, ანუ დემოკრატიული ქვეყნების უმრავლესობა, მცირე გამონაკლისის გარდა, ეკონომიკურად წარმატებული და თანამედროვე საზოგადოებების მქონე ქვეყნებია. თუმცა, ყველა მდიდარი ქვეყანა დემოკრატია როდია, ხოლო წარმატებული მოდერნიზაციის განმახორციელებელი ქვეყნების საკმაოდ დიდ ნაწილი ავტორიტარული რეჟიმების მიერ იმართებოდა ან იმართება. დემოკრატია და განვითარებას შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირისთვის მნიშვნელოვანია „კანონის უზენაესობის“ (rule of law) ცნება. სწორედ კანონის უზენაესობის პრინციპის დაცვა უზრუნველყოფს იმ ინსტიტუციური გარემოს შექმნას, რომელიც ეკონომიკური განვითარებისათვისაა აუცილებელი. ადვილად გასაგები კანონები და გამართული პროცედურები მომავალს ყველასთვის სანდოს და განჭვრეტადს ხდის და ხელს უწყობს შიდა თუ გარე ინვესტიციებს. ამგვარი სისტემისთვის მეორეხარისხოვანია, როგორ მიიღეს აღნიშნული კანონები და დაადგინეს პროცედურები – დემოკრატია პრინციპების დაცვით თუ მისი უგულვებლყოფით. შესაბამისად, „კანონის უზენაესობა“ შეიძლება არსებობდეს დემოკრატია გარეშეც.

სასამართლო სისტემა და მისი გამართული ფუნქციონა პირდაპირ უკავშირდება „კანონის უზენაესობის“ ცნებას. დემოკრატიული სისტემისათვის სასამართლო სისტემა მნიშვნელოვანია, თუმცა სასამართლო სისტემა აუცილებელია სამართლებრივი სახელმწიფოსათვის. ეს ხაზგასმა პირდაპირ უკავშირდება 2004 წლის შემდეგ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკას, რომელიც მიმართულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასა და მოდერნიზაციაზე: მუდმივად საუბარი საინვესტიციო კლიმატის გაუმჯობესებაზე და, ამ კუთხით, საქართველოს ლიდერობაზე მსოფლიოს ქვეყნებს შორის. სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონა აუცილებელია იმ გარემოს შესაქმნელად, რომელზეც ხელისუფლება საუბრობს. ეფექტიანი სასამართლო სისტემის და, ზოგადად, სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობა მნიშვნელოვანია დემოკრატიათვის, მაგრამ აუცილებელია მოდერნიზაციისთვის.

## სასამართლო სისტემის შეფასება

სასამართლო სისტემისა და მისი დამოუკიდებლობის გაზომვისა და შეფასების ერთ-ერთ ყველაზე დეტალურ მეთოდს *ფრიდომ ჰაუსი* გვთავაზობს. იგი 1995 წლიდან განსაკუთრებული ყურადღებით შეისწავლის აღმოსავლეთი ევროპის ყოფილ სოციალისტურ და საბჭოთა ქვეყნებს. ქვეყნის ზოგადი პროფილის დასადგენად ანალიზდება საარჩევნო სისტემა და პროცესი, სამოქალაქო საზოგადოება, მედია, ეროვნული მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობა, სამართლის სფერო და კონკრეტულად სასამართლოები, კორუფცია. თითოეული სფეროსთვის ქულების მი-


ნიჭების შესაბამისად, განისაზღვრება ქვეყნის ზოგადი ქულა. ამ კლასიფიკატორის მიხედვით სასამართლოსა და ქვეყნის ტიპის ურთიერთმიმართების შესახებ შემდეგი სურათი იქმნება:<sup>2</sup>

1. **კონსოლიდირებული დემოკრატიის შემთხვევაში** სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია, მიუკერძოებელია, დროულია და შეუძლია დაიცვას ფუნდამენტური პოლიტიკური, სამოქალაქო და ადამიანის უფლებები, გარანტირებულია კანონის წინაშე თანასწორობა და სასამართლოს განაჩენის აღსრულება. შეიძლება არსებობდეს მართლმსაჯულების პროცესის დროში განვლვის პრობლემა (ქულა 1-2.99).
2. **ნახევრადკონსოლიდირებულ დემოკრატიაში** არსებობს დამოუკიდებელი სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური ჩარჩო. თუმცა, სუსტია სასამართლოს დამოუკიდებლობა და ფუნდამენტური უფლებების დაცვა, განსაკუთრებით, ეთნიკური და რელიგიური უმცირესობებისა. მართლმსაჯულების პროცესი ნელია, უსისტემოა და ბოროტადაც შეიძლება გამოიყენებოდეს (ქულა – 3-3.99).
3. **გარდამავალ და ჰიბრიდულ რეჟიმებში** სასამართლო ხელისუფლებას აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის შენარჩუნება უჭირს. ფუნდამენტური პოლიტიკური, სამოქალაქო და ადამიანის უფლებების დაცვა შერჩევითია, კანონის წინაშე თანასწორობა გარანტირებული არაა. სასამართლო ნელია და ბოროტად გამოიყენებაც ხდება. საპატიმროებში წამების ფაქტები შეიძლება არსებობდეს (ქულა 4-4.99).
4. **ნახევრადკონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმებში** სასამართლო ხელისუფლება შეზღუდულია აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ და კანონის წინაშე თანასწორობა გარანტირებული არაა. სასამართლო ხელისუფლება ხშირად გამოიყენება პოლიტიკური ოპონენტების გასანეიტრალებლად და მხოლოდ შეზღუდულად შეუძლია ფუნდამენტური უფლებების დაცვა (ქულა 5-5.99).
5. **კონსოლიდირებულ ავტორიტარულ რეჟიმებში** კანონი პირადად ექვემდებარება რეჟიმს და ფუნდამენტური უფლებები ხშირად ირღვევა. სასამართლოები ოპონენტთა დასაშინებლად გამოიყენება (ქულა 6-7).

საქართველო, დემოკრატიის (ჯამური) ქულის მიხედვით, ბოლო წლებში სტაბილურად ექცევა „გარდამავალ და ჰიბრიდულ რეჟიმებში“ (4.00 4.99). როგორც უკვე აღინიშნა, ქვეყნის ტიპი განისაზღვრება ჯამური ქულის საშუალებით (ე.წ. დემოკრატიის ქულა):

<sup>2</sup> იხ. Freedom House, Nations in Transit <http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=17> (20.10.11)

დიაგრამა 1: საქართველოს დემოკრატიის ქულა.




წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ქულა	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93	4.93	4.86

წყარო: Freedom House, Nations in Transit, <http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=17>  
 (შენიშვნა: ქულები, ფაქტობრივ, ასახავს წინა წელს, რადგან ანალიზი ეყრდნობა წინა ერთი წლის მონაცემებს)

ამასთან, საინტერესოა უშუალოდ სასამართლო სისტემის შეფასების ქულები, რაც საქართველოს შემთხვევაში ასე გამოიყურება:

დიაგრამა 2: საქართველოს სასამართლო სისტემის ქულა.



წელი	2001	2002	2003	2004	2005	2006	2007	2008	2009	2010	2011
ქულა	4.00	4.25	4.50	4.50	5.00	4.75	4.75	4.75	4.75	4.75	5.00
ქულა	4.33	4.58	4.83	4.83	4.96	4.86	4.68	4.79	4.93	4.93	4.86

წყარო: Freedom House, Nations in Transit, <http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=17>  
 (შენიშვნა: ქულები, ფაქტობრივ, ასახავს წინა წელს, რადგან ანალიზი ეყრდნობა წინა ერთი წლის მონაცემებს)

როგორც ვხედავთ, მართლმსაჯულების სისტემა საშუალო ქულით მეტ-ნაკლებად ემთხვევა დემოკრატიის ზოგად ქულას. ყურადსაღებია, რომ ის ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც გაუარესდა 2011 წელს, მაშინ, როცა გაუმჯობესდა ზოგადი ქულა.

მეტი სიცხადისთვის, უნდა განიმარტოს, თუ რა შემთხვევაში იწერება ქულა ოთხიდან ხუთამდე და ხუთიდან ექვსამდე. *ფრიდომ ჰაუსის* მეთოდოლოგიური სახელმძღვანელოს მიხედვით, იზომება „ფორმალური პოლიტიკა“ და „პრაქტიკა“, ანუ საკანონმდებლო და ინსტიტუციური არსების, წესების არსებობა და ამ წესების გამოყენება პრაქტიკაში. ქულები შემდეგი პრინციპით იწერება:

4	არსებობს რაღაც ოდენობა "წესებისა" (policy), რომლებიც თანხმობაშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სტანდარტებთან, დემოკრატიულ ნორმებთან და კანონის უზენაესობის პრინციპთან.	არსებობს მცირეოდენი "პრაქტიკები", რომლებიც თანხმობაშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სტანდარტებთან, დემოკრატიულ ნორმებთან და კანონის უზენაესობის პრინციპთან.
5	არსებობს რაღაც ოდენობა "წესებისა" (policy), რომლებიც თანხმობაშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სტანდარტებთან, დემოკრატიულ ნორმებთან და კანონის უზენაესობის პრინციპთან.	არ არსებობს "პრაქტიკები", რომლებიც თანხვედრაშია ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების სტანდარტებთან, დემოკრატიულ ნორმებთან და კანონის უზენაესობის პრინციპთან.


აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კონსოლიდირებული და ნახევრადკონსოლიდირებული დემოკრატიის მქონე ქვეყნებთან (1-3 ქულა) მიმართებაში არსებობს მოლოდინი, რომ პოლიტიკა გამართული, ხოლო იმპლემენტაცია იდეალური ან, არსებითად, სრულყოფილია. პირიქით, ნახევრადკონსოლიდირებულ და კონსოლიდირებულ ავტორიტარიზმში (5-7 ქულა) მცირდება პოლიტიკური ჩარჩოების ხარისხი და ფორმალური პოლიტიკა და პრაქტიკა ერთმანეთისაგან სულ უფრო განსხვავებულია.

როგორც ვხედავთ, *ფრიდომ ჰაუსის* ანალიზის მიხედვით, საქართველოში პრობლემაა „პოლიტიკების“ (ანუ ფორმალური რეგულაციების, წესების) ოდენობაც, მაგრამ კიდევ უფრო მეტად მათი პრაქტიკული განხორციელება. დაბოლოს, უნდა აღინიშნოს, რომ *ფრიდომ ჰაუსის* მეთოდოლოგიის გამოყენებას აქვს თავისი შეზღუდვებიც. კერძოდ, ჩვენს შემთხვევაში საუბარია არა მხოლოდ ვიწროდ სასამართლო სისტემაზე, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის, სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულებისა და საპატიმრო ადგილებში უფლებადაცვით მდგომარეობაზე.

## სასამართლო სისტემის მიმართ ნდობა საქართველოში

მიჩნეულია, რომ სასამართლო სისტემა საქართველოში ნდობის დაბალი ხარისხით სარგებლობს. თუმცა, სურათი არც ისე ცალსახაა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება ჩანდეს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვების ანალიზი აჩვენებს, რომ სასამართლო სისტემის მიმართ დამოკიდებულება ბოლო წლებში დადებითისკენ შეიცვალა.

**დიაგრამა 3: სასამართლოს მიმართ დამოკიდებულება საქართველოში 2005-2011**




წყარო: International Republican Institute, Public Opinion Polls  
<http://www.iri.org/explore-our-resources/public-opinion-research/public-opinion-polls#three> (16.10.2011)

დიაგრამა 3 აჩვენებს, რომ 2011 წელს გამოკითხულთა 53 პროცენტი ენდობოდა სასამართლოს და მხოლოდ 22 პროცენტი არ ენდობოდა ამ სისტემას. სულ რაღაც ოთხი წლის წინ კი, პირიქით, გამოკითხულთა 67 პროცენტი არ ენდობოდა ამ სისტემას, ხოლო მხოლოდ 22 პროცენტი გამოთქვამდა ნდობას.

ამასთან, ყურადღება უნდა მიექცეს იმ ფაქტსაც, რომ სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის ზრდა საგრძნობლად ჩამორჩება სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების ანალოგიურ მაჩვენებლებს. მაგალითად, თუ შევადარებთ პოლიციის მიმართ ნდობას, ამ განსხვავებას ნათლად დავინახავთ. ასევე, საინტერესოა, რომ პროკურატურის მიმართ ნდობა საზოგადოებაში უფრო მაღალი იყო და რჩება ასეთად, ვიდრე სასამართლოს მიმართ.

**დიაგრამა 4: ინსტიტუტების მიმართ დამოკიდებულება საქართველოში 2005-2011**



წყარო: International Republican Institute, Public Opinion Polls  
<http://www.iri.org/explore-our-resources/public-opinion-research/public-opinion-polls#three> (16.10.2011)



სასამართლო სისტემის მიმართ გაბატონებული მოსაზრების მიხედვით, 2003 წლის ვარდების რევოლუციამდე სასამართლოები კორუპციულ იყო, თუმცა აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მეტი ხარისხით სარგებლობდა. 2003 წლის შემდეგ კი, მართალია, კორუფციის მასშტაბები საგრძნობლად შემცირდა, მაგრამ გაიზარდა აღმასრულებელი ხელისუფლების გავლენა სასამართლო შტოზე.<sup>3</sup> შესაბამისად, შეიძლება სწორედ ეს განსაზღვრავდეს სასამართლოს მიმართ ნდობის დინამიკას.

თუმცა, მსგავსი მოსაზრებები თავისთავად ბერს არაფერს ამბობს სასამართლო სისტემის განვითარებასა და მის ეფექტიანობაზე, მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ფაქტორია, რადგან გავლენას ახდენს საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაზე. სასურველია, განვითარების და სასამართლოს საქმიანობის ხარისხის შეფასება სხვა, უფრო გაზომვადი ფაქტორების მიხედვით მოხდეს, როგორებიცაა: ინსტიტუციური მონყობა, ხელმისაწვდომი რესურსები და სასამართლოების საქმიანობა, მათ შორის, მათი ეფექტიანობა.

## სასამართლო ხელისუფლების ინსტიტუციური მონყობა და უზრუნველყოფა რესურსებით

სასამართლო სისტემა დღეს მნიშვნელოვანი ინსტიტუციური და საფინანსო გარანტიებით სარგებლობს. სისტემის რეფორმა საქართველოში 1998 წლიდან დაიწყო, როცა ბევრ სხვა ნოვაციასთან ერთად მოსამართლედ დასანიშნად სავალდებულო საკვალიფიკაციო გამოცდები შემოიღეს. თუმცა, რეფორმები მხოლოდ სასამართლო სისტემას შეეხო და არ ჰქონია კომპლექსური ხასიათი, კერძოდ, არ მოუცავს მართლმსაჯულების განმახორციელებელი სისტემის სხვა ელემენტები – სამართალდამცავი ინსტიტუტები. 2004 წლიდან რეფორმა გაფართოვდა და ამ ინსტიტუტებსაც შეეხო. მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა 2006 წელს, როცა იუსტიციის უმაღლეს საბჭოში (მისი წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავდა საერთო სასამართლოების მოსამართლეებს) უმრავლესობა მიეცა მოსამართლეებს, ხოლო პროკურატურამ საბჭო დატოვა. იუსტიციის უმაღლესი საბჭო უკვე აღარაა პრეზიდენტის საკონსულტაციო ორგანო, არამედ დამოუკიდებელი ინსტიტუტია, რომელსაც უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს. საბჭოში შედიან პრეზიდენტისა და პარლამენტის წარმომადგენლებიც, მათ შორის, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელი. მოსამართლეები დღეს სადისციპლინო კომისიის უმრავლესობასაც შეადგენენ. ეს მნიშვნელოვანი ცვლილებაა, რადგან მიჩნეულია, რომ 2005-2006 წლებში დისციპლინური დევნა არსებითი ბერვეტი იყო მოსამართლეებზე ზეგავლენის მოსახდენად.<sup>4</sup>

ამჟამად უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეებსა და წევრ მოსამართლეებს ირჩევს პარლამენტი პრეზიდენტის წარდგინებით. ყველა დონის სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. მოსამართლედ დასანიშნად აუცილებელია საკვალიფიკაციო გამოცდის წარმატებით ჩაბარება და იუსტიციის უმაღ-


<sup>3</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება, თბილისი 2011, გვ. 69-84. [http://transparency.ge/sites/transparency.ge.nis/files/TIGeorgia\\_NISReport\\_ka.pdf](http://transparency.ge/sites/transparency.ge.nis/files/TIGeorgia_NISReport_ka.pdf) (20.10.11)

<sup>4</sup> დისციპლინური დევნის სტატისტიკა იხ. საქართველოს იუსტიციის საბჭოს ვებ-გვერდზე <http://hcoj.gov.ge/?l=2&i=113> (02.11.2011)

ლესი სკოლის კურსების გავლა. აღსანიშნავია, რომ 2013 წლიდან მოსამართლეები უფადოდ (საპენსიო ასაკამდე) დაინიშნებიან, რაც ასევე მნიშვნელოვანი ინსტიტუციური გარანტიაა.

2004 წლის შემდეგ მნიშვნელოვნად გაიზარდა სასამართლო სისტემის დაფინანსება. თუ 2003 წელს სასამართლო სისტემის დაფინანსება 11,1 მილიონ ლარს შეადგენდა, 2011 წელს ამ თანხამ 38,8 მილიონი ლარი შეადგინა. გაიზარდა სასამართლოების ინფრასტრუქტურის დაფინანსებაც; პირველი ინსტანციის მოსამართლის ხელფასმა 2011 წელს 2 300 ლარი შეადგინა, ხოლო სასამართლოებში გაჩნდა ადმინისტრაციული რესურსი, რომელიც ეხმარება მოსამართლეებს მათ საქმიანობაში და უკეთეს სერვისს აწვდის გარე მომხმარებლებს.

**დიაგრამა 5: სასამართლო სისტემის ბიუჯეტი 2003-2011 წწ.**



წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდი <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/budget.pdf> (12.11.2011)

ერთობლიობაში, ინსტიტუციური რეფორმა (მათ შორის, შიდასისტემური რეფორმა, რომელიც მიმართულია სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოს შორის ფუნქციების გადანაწილებასა და რესურსების ეფექტიან ხარჯვაზე) და საფინანსო უზრუნველყოფა სასამართლო სისტემას აღმასრულებელი ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლობის მნიშვნელოვან გარანტიებს უქმნის. თუმცა, ინსტიტუციური გარანტიები ყოველთვის სრულად არ ხორციელდება პრაქტიკაში.

## **სასამართლო პრაქტიკა: გამამართლებელი განაჩენი და თავისუფლების აღკვეთა**


არსებობს მოსაზრება, რომ სასამართლოები მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია იმ სამოქალაქო და ადმინისტრაციული საკითხების განხილვისას, სადაც სახელმწიფოს ინტერესები არ იკვეთება. რაც შეეხება სისხლის სამართლის სფეროს, მიჩნეულია, რომ აქ სასამართლო აღმასრულებელი ხელისუფლების, კერძოდ, პროკურატურის გავლენას განიცდის.<sup>5</sup>

<sup>5</sup> იხ. სქოლიო 3.

ამ მოსაზრების გასამყარებლად, უპირატესად, სამი მტკიცებულება გამოიყენება – სისხლის სამართლის საქმეებში გამამართლებელი განაჩენის ძალიან დაბალი წილი, პატიმართა რიცხვის მნიშვნელოვანი ზრდა 2004 წლის შემდეგ და საპროცესო გარიგების წილის ზრდა განაჩენით დასრულებულ საქმეებში. საპროცესო გარიგების ინსტიტუტზე საუბარი შემდეგ ნაწილში გვექნება, ამჯერად გამამართლებელი განაჩენის კვოტისა და პატიმართა რიცხვის ზრდის თემას მიმოვიხილავთ.

სისხლის სამართლის საქმეებზე საქართველოში გამამართლებელი განაჩენი ძალიან იშვიათად ხდება. 2011 წლის იანვარ-სექტემბერში პირველი ინსტანციის სასამართლოებმა გაამართლეს ბრალდებულთა 1.7 პროცენტი. აბსოლუტურ მაჩვენებლებში ეს ნიშნავს 30 პირს 13319-იდან. იმავედროულად, 23 პიროვნება ნაწილობრივ გამართლდა, ხოლო 29 პირის მიმართ საქმე შეწყდა. 2010 წელს პირველი ინსტანციის სასამართლოებმა სისხლის სამართლის საქმეებში გაამართლეს მხოლოდ 8 პიროვნება 19956-იდან. ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე ჩანს, რომ 2011 წელს შესაძლოა ვითარება ოდნავ შეიცვალოს. საინტერესოა, რომ საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველოს ინფორმაციით, 2006 წელს საქართველოს სასამართლოებმა 16911 გამამტყუნებელი და 37 გამამართლებელი განაჩენი გამოიტანეს, ხოლო იმავე წელს ესტონეთში 7881 გამამტყუნებელი და 193 გამამართლებელი განაჩენი დადგა.<sup>6</sup>

**დიაგრამა 6: გამამართლებელი განაჩენის წილი სისხლის სამართლის არსებითად განხილულ საქმეებში**



წყარო: საქართველოს უზენაესი სასამართლო, განვილილი წლების სტატისტიკა <http://www.supremecourt.ge/statistics/> (12.11.2011)


არსებობს მოსაზრება, რომ გამამართლებელი განაჩენის დაბალი მაჩვენებელი საგამოძიებო ორგანოების გაზრდილ პროფესიონალიზმს უკავშირდება; გარდა ამისა, წინა წლებისაგან განსხვავებით, თუ გამოძიება დარწმუნებული არაა მტკიცებულებების უტყუარობაში, თავადვე აღარ მიმართავს სასამართლოს. ამდენად, მხოლოდ „უტყუარი“ საქმეები მიდის სასამართლოში. თუმცა, საინტერესოა, რომ 2004 წლიდან ძალიან გაიზარდა სისხლის სამართლის საქმეების რაოდენობა, რაც ალბათ

<sup>6</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, თბილისი, 2010 [http://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf](http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf) (16.10.2011)

სახელმწიფოს მხრიდან გამკაცრებულ სისხლის სამართლებრივ პოლიტიკასაც უკავშირდება. მიუხედავად მიზეზებისა, გამამართლებელი განაჩენის დაბალი მაჩვენებელი კრიტიკის ობიექტია ადგილობრივი და საერთაშორისო დამკვირვებლების მხრიდან.<sup>7</sup> სავარაუდოა მისი კავშირი საპროცესო გარიგების პრაქტიკის ზრდასთანაც (იხ. ქვემოთ).

2011 წლის 9 თვეში თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა მსჯავრდებულ პირთა 41 პროცენტს (5443 პირს). 2010 წელს ეს მაჩვენებელი 45.8 პროცენტი (9135) იყო, ხოლო 2009 წელს 45.7 (8384 პირი). როგორც ვხედავთ, ამ მხრივ ბოლო წლებში ვითარება სტაბილურია.

**დიაგრამა 7: თავისუფლების აღკვეთამისჯილთა პროცენტული მაჩვენებელი მსჯავრდებულებთან მიმართებაში**




წყარო: განვილილი წლების სტატისტიკა <http://www.supremecourt.ge/statistics/> (12.11.2011)

2004 წლის შემდეგ გატარებული სისხლის სამართლებრივი პოლიტიკის შედეგად, გაუმჯობესდა კრიმინალური ვითარება ქვეყანაში. თუმცა, მკვეთრად იმატა საპატიმროების მოსახლეობამაც. 2011 წელს საქართველოს საპატიმროებში 23 995 ადამიანი იმყოფებოდა, ხოლო 2005 წელს – 7 869.

<sup>7</sup> ჰამარბერგმა თბილისში ვიზიტი შეაჯამა, სივილ ფორჯია, 20 აპრილი, 2011 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23915&search=> (23.10.11)

**დიაგრამა 8: პატიმართა რაოდენობა საქართველოში 2001-2011 წწ.**



წყარო: საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, თბილისი, 2010 [http://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf](http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf) (16.10.2011)

- International Center for Prison Studies, Georgia

[http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb\\_country.php?country=122](http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb_country.php?country=122) (16.10.2011)

2011 წლის აპრილის მონაცემებით, საქართველოში 100 ათას ადამიანზე 547 პატიმარი მოდიოდა და ამ მაჩვენებლით საქართველოს მე-4 ადგილი უკავია მსოფლიოში. თუმცა, თავად ეს ფაქტი არაფერს ამბობს ქვეყნის დემოკრატიულობის ხარისხზე. 100 ათას მცხოვრებზე პატიმართა რაოდენობით ლიდერი ქვეყნების პირველ ხუთეულში შედის აშშ-ცა და რუსეთიც, ხოლო ხუთეული კი ასე გამოიყურება:

**გრაფიკი 1: 100 ათას მცხოვრებზე პატიმართა რაოდენობა ქვეყნების მიხედვით. პირველი ხუთეული**

აშშ	743
რუანდა	595
რუსეთი	550
საქართველო	547
ვირჯინიის კუნძულები (აშშ)	539

წყარო: International Center for Prison Studies, Entire world – Prison Population Rates per 100,000 of the national population,

[http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb\\_stats.php?area=all&category=wb\\_poprate](http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb_stats.php?area=all&category=wb_poprate) (16.10.2011)

პატიმართა რიცხვის ზრდის დინამიკა საინტერესოა იმდენად, რამდენადაც მისი მიზეზების ინტერპრეტაცია აჩვენებს სასამართლოსა და, კერძოდ, სისხლის სამართლებრივ პოლიტიკასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობას. ერთი მხრივ, პატიმართა რიცხოვნების ზრდა უჩვენებს, რომ სახელმწიფომ 2005-2006 წლიდან საგრძნობლად გააქტიურა კრიმინალთან ბრძოლა. თუ პატიმართა რიცხოვნების ზრდა კრიმინალის კლების თვალმისაცემ ტენდენციას შევადარებთ, დავინახავთ, რომ ამ მხრივ სახელმწიფო საკმაოდ წარმატებულია. მეორე მხრივ, კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მსჯავრდებულთა რიცხვის ზრდა უკავშირდება სასამართლოების დამოკიდებულებას აღმასრულებელ შტოზე – კერძოდ, პროკურატურაზე.

## საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი

საპროცესო შეთანხმება იმ საკითხთა რიგს მიეკუთვნება, რომელიც ცხადად აჩვენებს სასამართლოების საქმიანობასთან დაკავშირებულ აზრთა სხვადასხვაობას საქართველოში. საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი საქართველოში 2004 წლის დასაწყისში შემოვიდა და თავდაპირველად უკავშირდებოდა წინა მთავრობის მაღალჩინოსანთა დაკავების ხმაურიან საქმეებს. საწყის ეტაპზე ყოფილი ჩინოვნიკების დაკავებითა და მათგან თანხების ამოღებით სახელმწიფო რამდენიმე ამოცანას ასრულებდა – ახალი ხელისუფლება ამ გზით ცდილობდა სახელმწიფო სახსრების აკუმულირებას, ასევე, მოსახლეობისათვის მიცემული დაპირების შესრულებას და ჩვენებას, რომ კორუფციასთან ბრძოლის ღონისძიებები მხოლოდ სიტყვები არ იყო. გარკვეულწილად, ეს უკავშირდებოდა სამართლიანობის აღდგენის პრინციპს, რომლის მიხედვითაც დამნაშავეები უნდა დასჯილიყვნენ და/ან მიტაცებული ქონება დაებრუნებინათ. ყველაზე მნიშვნელოვანი კი მაინც სახელმწიფოს ქმედითობის ჩვენება იყო – ახალი ხელისუფლება აცხადებდა, რომ აპირებდა ხელისუფლების რეალურ განხორციელებას და არ დაკმაყოფილდებოდა მხოლოდ ფორმალური სტატუსით. რევოლუციური დინამიკის პირობებში, საპროცესო შეთანხმების პრაქტიკა უფრო ადრე ამოქმედდა (თავისუფლების სანაცვლოდ თანხის გადახდის პირველი პრეცედენტები 2003 წლის დეკემბერში მოხდა), ვიდრე მისი სამართლებრივი ინსტიტუციონალიზაცია. ასევე, თავდაპირველი ფორმა განსხვავდება დღეს არსებული საგანგებო შემდგომ წლებში მან არსებითი ცვლილებები განიცადა.

ამჟამად საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტს რამდენიმე ფუნქცია აქვს – იგი ხელს უწყობს მართლმსაჯულების სწავ და ეფექტიან განხორციელებას, ზოგავს ღირებულ ადამიანურ და მატერიალურ რესურსს, ხელს უწყობს გამოძიებას, რამდენადაც ნაახალისებს ბრალდებულის თანამშრომლობას გამოძიებასთან. მიჩნეულია, რომ საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გარეშე არა მხოლოდ სასამართლოები გადაიტვირთებოდა საქმეებით, არამედ ციხეებიც კიდევ უფრო გაივსებოდა პატიმრებით.


საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობა არსებობს ამ ინსტიტუტის სამშობლო აშშ-შიც კი. საპროცესო გარიგება გამოძიებასა და ბრალდებულს შორის ხდება, რაც სასამართლოს ფუნქციის შემცირებას ნიშნავს. სასამართლო, მართალია, ადასტურებს ან უარყოფს შეთანხმებას, შეუძლია აქეთკენ მოუწოდოს მხარეებს, მაგრამ არ შეუძლია პროცესში ჩაერთოს და შეთანხმების შედეგებს გადახედოს. სასამართლოს გადამწყვეტი სიტყვის უფლება რჩება, მაგრამ ის არაა პროცესის მონაწილე. ეს სავსებით გასაგები და ლოგიკურია ეფექტიანობის პრინციპიდან გამომდინარე. სასამართლო რომ ამ პროცესში მონაწილეობდეს, რითი განსხვავდებოდა ეს პროცესი ჩვეულებრივი სასამართლო პროცესისაგან? ამის მიუხედავად, ლოგიკურია ის შეშფოთებაც, რომ მხარეები არათანაბარ მდგომარეობაში არიან – გამოძიება უპირატესში, ბრალდებული – სანდო ალტერნატივის გარეშე, ხოლო სასამართლო – ხშირად სტატისტიკის როლში.

კრიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ გამამართლებელი განაჩენის ძალიან დაბალი ხვედრითი წილი ბრალდებულებში აჩენს შიშს, რომ საქმის არსებით განხილვას აზრი არ აქვს, რადგან სასამართლო მაინც პროკურატურის ვერსიას დაუჭერს მხარს. ამდენად, საპროცესო გარიგება მათთვის პრობლემის გადაჭრის უფრო მოკლე და ეფექტიანი გზაა. ისინი ამჯობინებენ გაურიგდნენ მას, ვინც „რეალურ“ ძალაუფლე-

ბას ფლობს. ამასთან, ამით ისინი კარგავენ სასამართლოს გზით საკუთარი პოზიციის დაცვის შესაძლებლობას.<sup>8</sup>

ფაქტია, რომ საპროცესო გარიგება ძალიან პოპულარული ინსტრუმენტი ხდება, რასაც მისი გამოყენების მზარდი დინამიკაც მოწმობს. 2011 წლის პირველ ცხრა თვეში საპროცესო შეთანხმებით დასრულდა განაჩენის გამოტანით დასრულებული საქმეების 87.3 პროცენტი, მაშინ, როცა თუნდაც 2007 წელს ეს მაჩვენებელი მხოლოდ 49.2 პროცენტი იყო.

**დიაგრამა 9: საპროცესო გარიგების წილი სისხლის სამართლის განაჩენის გამოტანით დასრულებულ საქმეებში**



წყარო: განვილილი წლების სტატისტიკა <http://www.supremecourt.ge/statistics/> (12.11.2011)

საპროცესო გარიგებით სახელმწიფომ მნიშვნელოვანი ფულადი მოგება ნახა. იუსტიციის სამინისტროს ინფორმაციით, 2010 წელს საქართველოს ბიუჯეტმა 112 მილიონი ლარი მიიღო.<sup>9</sup> ამ თანხაში იგულისხმება საპროცესო შეთანხმებისა და სასამართლო ჯარიმების ჯამური მაჩვენებელი. 2009 წლის არასრული ინფორმაციით მხოლოდ საპროცესო შეთანხმებიდან სახელმწიფო ხაზინამ 32 მილიონზე მეტი ლარი მიიღო.<sup>10</sup>

ზოგადად იკვეთება, რომ თავდაპირველი უარყოფითი დამოკიდებულების მიუხედავად, დღეს ბევრი აღიარებს საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის საჭიროებას, განსაკუთრებით, მკაცრი სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისა და სასამართლოების გადატვირთვის პირობებში. თუმცა, ეს სისტემა შემდგომ დახვეწას საჭიროებს, განსაკუთრებით, გამჭვირვალობის საკითხში.

<sup>8</sup> ინტერვიუ ადვოკატებთან. ინტერვიუ ორ ადვოკატთან ჩატარდა დამოუკიდებლად 2011 წლის ოქტომბერში.

<sup>9</sup> 112.7 მლნ ლარი სასამართლო ჯარიმებიდან და საპროცესო შეთანხმებებიდან, სივილ ჯორჯია, 6 ივლისი, 2011 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24292> (10.10.11).

<sup>10</sup> საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, თბილისი, 2010 [http://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf](http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf) (16.10.2011)

## ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი საქართველოში 2010 წლის 1 ოქტომბერს ამოქმედდა ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან ერთად. ნაფიცი მსაჯულები თავდაპირველად მხოლოდ თბილისში შეიქმნა შეიკრიბონ და ისიც მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებებში ჩადენილი განზრახ მკვლელობის მუხლზე. 2011 წლის ნოემბერში დაიწყო პირველი სასამართლო პროცესი ნაფიც მსაჯულთა მონაწილეობით. მოგვიანებით, ნაფიცი მსაჯულების ინსტიტუტი საქართველოს სხვა რეგიონებზეც გავრცელდება და გაფართოვდება მისი გამოყენების სფეროები.

ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შემოღებაზე საუბარი 2004 წლიდან დაიწყო, თუმცა მისი განხორციელება არაერთხელ გადაიდო. ამ ინსტიტუტს უკავშირდება მართლმსაჯულების სისტემის მიმართ ნდობის გაზრდის მოლოდინი. ამასთან, ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის ამოქმედება არ უმცირებს სასამართლო სისტემას პასუხისმგებლობას. პირიქით, ის მოითხოვს უფრო ეფექტიან სისტემას, რომელიც გამოირიცხავს ინსტიტუტის ბოროტად გამოყენებას და მის დისკრედიტაციას. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის შეფასება ამ ეტაპზე შეუძლებელია და მისი გავლენა სისტემაზე მოგვიანებით გახდება ცნობილი.

## შეჯამება

სასამართლო სისტემის გამართული ფუნქციონირება საკვანძოა საქართველოში დემოკრატიის დეფიციტის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ის საკვანძოა საზოგადოებრივი მოდერნიზაციისა და განვითარებისათვისაც. ეფექტიანი სასამართლო სისტემის გარეშე არამდგრადი იქნება ეკონომიკური განვითარების მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები, მათ შორის, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობები შედეგებიც კითხვის ნიშნის ქვეშ შეიძლება დადგეს.

სასამართლო სისტემის რეფორმა დროში ოდნავ ჩამორჩა სხვა სახელმწიფო ინსტიტუტების რეფორმას, მათ შორის, სამართალდამცავი ინსტიტუტებისას. დღეს სასამართლო სისტემას აქვს ინსტიტუციური და მატერიალური გარანტიები, რაც მყარ საფუძველს ქმნის მისი სხვა სახელისუფლებო შტოებისა თუ პოლიტიკური გავლენებისაგან გასათავისუფლებლად. ამასთან, სასამართლო სისტემა ვერ იქნება მონყვეტილი პოლიტიკურ და საზოგადოებრივ კონტექსტს. პოლიტიკურ ძალთა შორის ასიმეტრია, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, თავისთავად აისახება სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობაზე აღმასრულებელი ხელისუფლებასთან მიმართებაში.

სასამართლო სისტემის შემდგომი განვითარების, მათ შორის, სასამართლოსა და პროკურატურის რთული ურთიერთობების დაბალანსების რესურსი, მისი პროფესიონალიზმისა და ეფექტიანობის ზრდაშია. საფინანსო რესურსების მატება და ინფრასტრუქტურის განვითარება ხელს უწყობს სასამართლოს მიერ უკეთესი სერვისის წარმოებას. შესაბამისი ეფექტის მქონე მეტი ინვესტიცია მოსამართლეთა პირობების გაუმჯობესებასა და და განათლებაში. საბოლოოდ, ეს აისახება სასამართლოს მიმართ საზოგადოებრივ განწყობაზეც, რომელიც ოდნავ, მაგრამ მაინც გაუმჯობესდა ბოლო წლებში.



ამ კუთხით არაერთგვაროვანია საპროცესო გარიგების ინსტიტუტის როლი. ერთი მხრივ, ის ზღუდავს სასამართლოს მოქმედების სფეროს, მაგრამ ამავე დროს იცავს სისტემას გადახურებისაგან, რომელიც გარდაუვალი იქნებოდა არსებული სისხლის სამართლებრივი პოლიტიკისა და მოსამართლეთა რაოდენობის პირობებში. ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტი მნიშვნელოვანი ინოვაციაა და მოსალოდნელია, რომ ხელს შეუწყობს სისტემის მიმართ ნდობის გაზრდას. ამდენად, სასურველია ეს ინსტიტუტი სწრაფად, მაგრამ რისკების გათვალისწინებით გავრცელდეს სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებზეც და გეოგრაფიულადაც.

## გამოყენებული წყაროები

1. Freedom House, Nations in Transit <http://www.freedomhouse.org/template.cfm?page=17>
2. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული სისტემის შეფასება, თბილისი 2011. [http://transparency.ge/sites/transparency.ge.nis/files/TIGeorgia\\_NISReport\\_ka.pdf](http://transparency.ge/sites/transparency.ge.nis/files/TIGeorgia_NISReport_ka.pdf)
3. საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო, საპროცესო შეთანხმება საქართველოში, თბილისი 2010. [http://transparency.ge/sites/default/files/post\\_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf](http://transparency.ge/sites/default/files/post_attachments/Plea%20Bargaining%20in%20Georgia%20-%20Negotiated%20Justice%20-%20GEO%20%282%29.pdf)
4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, დისციპლინური დევნის სტატისტიკა, <http://hcoj.gov.ge/?l=2&i=113>
5. საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლო სისტემის დაფინანსება <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/budget.pdf>
6. საქართველოს უზენაესი სასამართლო, განვილილი წლებს სტატისტიკა <http://www.supremecourt.ge/statistics>
7. International Center for Prison Studies, Georgia [http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb\\_country.php?country=122](http://www.prisonstudies.org/info/worldbrief/wpb_country.php?country=122)
8. 1. International Republican Institute, Public Opinion Polls <http://www.iri.org/explore-our-resources/public-opinion-research/public-opinion-polls#three>
9. ჰამარბერგმა თბილისში ვიზიტი შეაჯამა, სივილ ჯორჯია, 20 აპრილი, 2011 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=23915&search=>
10. 112.7 მლნ ლარი სასამართლო ჯარიმებიდან და საპროცესო შეთანხმებებიდან, სივილ ჯორჯია, 6 ივლისი, 2011 <http://www.civil.ge/geo/article.php?id=24292>





